



უშიშროების საბჭო

გავრცელება: ზოგადი
2000 წლის 31 ოქტომბერი*არაოფიციალური თარგმანი***რეზოლუცია № 1325 (2000)****მიღებულია უშიშროების საბჭოს მიერ 4213-ე სხდომაზე
2000 წლის 31 ოქტომბერს***უშიშროების საბჭო,*

ეყრდნობა რა 1999 წლის 25 აგვისტოს 1261 (1999), 1999 წლის 17 სექტემბრის 1265 (1999), 2000 წლის 19 აპრილის 1296 (2000) და 2000 წლის 11 აგვისტოს 1314 (2000) რეზოლუციებს, პრეზიდენტის შესაბამის განცხადებებსა და, ასევე, მიუთითებს პრეზიდენტის მიერ 2000 წლის 8 მარტს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დღესთან დაკავშირებით, პრესისთვის გაკეთებულ განცხადებას, რომელიც ეძღვნებოდა ქალთა უფლებებსა და საერთაშორისო მშვიდობას (ქალთა საერთაშორისო დღე) (SC/6816),

ეყრდნობა რა პეკინის დეკლარაციისა და სამოქმედო პლატფორმის, აგრეთვე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ოცდამესამე საგანგებო სესიაზე მიღებული დოკუმენტის “ქალები – 2000: გენდერული თანასწორობა, განვითარება და მშვიდობა 21-ე საუკუნეში” (A/S-23/10/Rev.1) საფუძველზე ნაკისრ ვალდებულებებს, განსაკუთრებით კი იმ ვალდებულებებს, რომლებიც შეეხება ქალებსა და შეიარაღებულ კონფლიქტს,

ითვალისწინებს რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნებსა და პრინციპებს, აგრეთვე, უშიშროების საბჭოს უმთავრეს ვალდებულებას წესდების საფუძველზე საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველსაყოფად,

გამოხატავს რა შეშფოთებას, რომ სამოქალაქო მოსახლეობა, განსაკუთრებით კი ქალები და ბავშვები, წარმოადგენს შეიარაღებული კონფლიქტით დაზარალებულთა, მათ შორის ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დიდ უმრავლესობას, რომელსაც სულ უფრო ხშირად ემუქრება საფრთხე კონფლიქტის მონაწილე მხარეებისა თუ შეიარაღებულ პირთა მხრიდან და აღიარებს რა ზემოხსენებულის ზეგავლენას მდგრადი მშვიდობისა და შერიგების საკითხებზე,

კვლავ ადასტურებს ქალთა მნიშვნელოვან როლს კონფლიქტების პრევენციისა და მოწესრიგების, აგრეთვე, მშვიდობის მშენებლობის საკითხებში და ხაზს უსვამს

მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებისა და დამკვიდრებისკენ მიმართულ ყველა ძალისხმევაში ქალთა თანასწორი მონაწილეობისა და სრულად ჩართვის მნიშვნელობას, აგრეთვე, მათი როლის გაძლიერების აუცილებლობას კონფლიქტების პრევენციისა და მოგვარების პროცესში,

კვლავ ადასტურებს რა საერთაშორისო ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებათა სამართლის ნორმების სრულად განხორციელების აუცილებლობას, რომლებიც იცავს ქალებისა და გოგოების უფლებებს კონფლიქტების პერიოდში და მათ შემდეგ,

ბაზს უსვამს ყველა მონაწილე მხარის მიერ იმ გარემოების უზრუნველყოფის აუცილებლობას, რომელიც განადმვისა და ნაღმსაწინააღმდეგო საინფორმაციო პროგრამებში ქალებისა და გოგოების განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინებას გულისხმობს,

აღიარებს რა სამშვიდობო ოპერაციებში გენდერული ხედვის გატარების აუცილებლობას და ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს უინდჰოკის დეკლარაციასა და ნამიბიის სამოქმედო გეგმას მშვიდობის მხარდამჭერ მრავალკომპონონტიან ოპერაციებში გენდერული პერსპექტივის მეინსტრიმინგის შესახებ (S/2000/693),

აღიარებს რა აგრეთვე უშიშროების საბჭოს პრეზიდენტის მიერ 2000 წლის 8 მარტს პრესისთვის გაკეთებულ განცხადებაში გამოთქმული რეკომენდაციის მნიშვნელობას, რომელიც ეხება სამშვიდობო პროცესებში დასაქმებული ყველა თანამშრომლის სპეციალურ მოზადებას კონფლიქტის პერიოდში ქალთა და ბავშვთა დაცვის, განსაკუთრებულ საჭიროებათა და ადამიანის უფლებათა საკითხებზე,

აღიარებს, რომ ქალებსა და გოგოებზე შეიარაღებული კონფლიქტის ზეგავლენის გაცნობიერებას, ასევე მათი დაცვისა და სამშვიდობო პროცესებში სრულად ჩართვის უზრუნველყოფი ეფექტური ორგანიზაციული მექანიზმების არსებობას შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებასა და დამკვიდრებაში,

აღნიშნავს რა ქალებსა და გოგოებზე შეიარაღებული კონფლიქტის ზეგავლენასთან დაკავშირებულ მონაცემთა გაერთიანების აუცილებლობას,

1. *მოუწოდებს* წევრ სახელმწიფოებს, უზრუნველყონ ქალთა წარმომადგენლობის გაზრდა კონფლიქტების პრევენციის, მართვისა და მოგვარების ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო ინსტიტუტებსა თუ მექანიზმებში, გადაწყვეტილების მიმღებ ყველა დონეზე;

2. *მოუწოდებს* გენერალურ მდივანს, განახორციელოს მისი სტრატეგიული სამოქმედო გეგმა (A/49/587), რომლის მიზანია გაზარდოს ქალთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიმღებ დონეებზე კონფლიქტის მოგვარებისა და სამშვიდობო პროცესებში;

3. *მოუწოდებს* გენერალურ მდივანს უფრო მეტი ქალი აღჭურვოს საგანგებო წარმომადგენლისა და ელჩის უფლებამოსილებით, ორგანიზაციის მიზნების განსახორციელებლად და, ამასთან, მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს წარუდგინონ

გენერალურ მდივანს კანდიდატები რეგულარულად განახლებად რეესტრში შესატანად;

4. *დაჟინებით მოუწოდებს* გენერალურ მდივანს, მიაღწიოს ქალთა როლისა და წვლილის გაფართოებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სავლე ოპერაციებში, განსაკუთრებით კი სამხედრო დამკვირვებლებს, სამოქალაქო პოლიციას, ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარულ პერსონალს შორის;

5. *გამოხატავს მზადყოფნას*, მოახდინოს სამშვიდობო ოპერაციებში გენდერული პერსპექტივის ჩართვა და მოუწოდებს გენერალურ მდივანს, სადაც შესაძლებელია, უზრუნველყოს გენდერული კომპონენტის ჩართულობა სავლე ოპერაციებში;

6. *სთხოვს* გენერალურ მდივანს, უზრუნველყოს მონაწილე სახელმწიფოები სასწავლო სახელმძღვანელოებითა და მასალებით ქალთა დაცვის, უფლებებისა და განსაკუთრებული საჭიროებების, აგრეთვე, მშვიდობის დაცვისა და მშვიდობის შენების ღონისძიებებში ქალთა მონაწილეობის მნიშვნელობის საკითხებზე, მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, ჩართონ აღნიშნული ელემენტები და აივ/შიდსის საკითხებზე საინფორმაციო სწავლება სამხედრო და სამოქალაქო პოლიციის თანამშრომელთა საქმიანობისათვის მომზადების ეროვნულ პროგრამებში, ამას გარდა, სთხოვს გენერალურ მდივანს, უზრუნველყოს სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილე სამოქალაქო პერსონალის ანალოგიური სწავლება;

7. *მოუწოდებს* წევრ სახელმწიფოებს, რომ გაზარდონ ნებაყოფლობითი ფინანსური, ტექნიკური და მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერა გენდერულად მგრძობიარე სწავლებებისთვის, მათ შორის იმ პროგრამებისთვის, რომლებსაც შესაბამისი ფონდები და პროგრამები ახორციელებენ, კერძოდ, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, გაეროს ბავშვთა ფონდი, ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი და სხვა შესაბამისი ორგანიზაციები;

8. *მოუწოდებს* ყველა მონაწილეს, რომ სამშვიდობო შეთანხმებებზე მოლაპარაკებებისა და განხორციელების პროცესში გამოიყენონ გენდერულ ასპექტებზე დაფუძნებული მიდგომა, რომლიც სხვა საკითხთა შორის ასევე მოიცავს: (ა) ქალებისა და გოგოების განსაკუთრებულ საჭიროებებს რეპატრიაციისა და განსახლების პროცესებში, აგრეთვე რეაბილიტაციის, რეინტეგრაციისა და კონფლიქტის შემდგომ აღდგენით პერიოდში; (ბ) ღონისძიებებს, რომლებიც ხელს შეუწყობს ქალთა ადგილობრივი სამშვიდობო ინიციატივებისა და კონფლიქტის მოწესრიგებას, ასევე ღონისძიებებს, რომლებიც გულისხმობს ქალთა ჩართვას სამშვიდობო შეთანხმებების განხორციელების ყველა მექანიზმში; (გ) ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფს ქალებისა და გოგოების ადამიანის უფლებების დაცვასა და პატივისცემას, განსაკუთრებით კონსტიტუციასთან, საარჩევნო სისტემასთან, პოლიციასა და სასამართლო სისტემასთან დაკავშირებით;

9. *მოუწოდებს* შეირადებულ კონფლიქტში მონაწილე ყველა მხარეს სრულად დაიცვას საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები, რომლებიც ეხება ქალებისა და გოგოების, განსაკუთრებით როგორც სამოქალაქო პირების, უფლებებსა და დაცვას, პატივისცემით მოეკიდონ იმ ვალდებულებათა შესრულებას, რომლებიც ეკისრებათ

ქენევის 1949 წლის კონვენციებისა და მათი 1977 წლის დამატებითი ოქმების, 1951 წლის ლტოლვილთა შესახებ კონვენციისა და მისი 1967 წლის ოქმის, 1979 წლის ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციისა და მისი 1999 წლის ფაკულტატური ოქმის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1989 წლის ბავშვთა უფლებების კონვენციისა და მისი 2000 წლის 25 მაისის ორი ფაკულტატური ოქმის საფუძველზე, ასევე გათვალისწინებულ იქნას სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუსის შესაბამისი დებულებები;

10. *მოუწოდებს* შეიარაღებული კონფლიქტის ყველა მხარეს, მიიღოს საგანგებო ზომები გენდერული ძალადობისგან ქალებისა და გოგოების დასაცავად, განსაკუთრებით გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის სხვა ფორმებისგან, აგრეთვე ძალადობის ყველა სხვა ფორმისგან შეიარაღებული კონფლიქტის პირობებში;

11. *ხაზს უსვამს* ყველა სახელმწიფოს ვალდებულებას ბოლო მოუდოს დაუსჯელობას და განახორციელოს იმ პირთა სამართლებრივი დევნა, რომლებსაც ბრალი მიუძღვით გენოციდში, კაცობრიობის წინაშე და ომის დროს ჩადენილ დანაშაულებში, მათ შორის ქალებისა და გოგოების წინააღმდეგ ჩადენილ სექსუალურ და სხვა ტიპის ძალადობაში ამ მხრივ ხაზს უსვამს აუცილებლობას შეძლებისდაგვარად გამოირიცხოს აღნიშნული დანაშაულებები ამნისტირების შესაძლებლობისგან;

12. *მოუწოდებს* შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილე ყველა მხარეს, პატივი სცეს ლტოლვილთა ბანაკებისა და განსახლების ადგილთა სამოქალაქო და ჰუმანიტარულ ხასიათს და გაითვალისწინოს ქალებისა და გოგოების განსაკუთრებული საჭიროებები, მათ შორის მათი დაგეგმარების დროს და მოუხმობს მის 1998 წლის 19 ნოემბრის 1208-ე (1998) და 2000 წლის 19 აპრილის 1296-ე(2000) რეზოლუციებს;

13. *მოუწოდებს* განიარაღების, დემობილიზაციისა და რეინტეგრაციის დაგეგმარების პროცესებში ჩართულ ყველა მხარეს, გაითვალისწინოს ქალი და კაცი ყოფილი მებრძოლების განსხვავებული საჭიროებები და მხედველობაში მიიღოს მათი ოჯახის წევრების (ან მათზე დამოკიდებული პირების) საჭიროებები;

14. *ადასტურებს მზადყოფნას*, გაეროს წესდების 41-ე მუხლის საფუძველზე გატარებული ნებისმიერი ღონისძიების შემთხვევაში გაითვალისწინოს მათი შესაძლო ზეგავლენა მშვიდობიან მოსახლეობაზე და მხედველობაში იქონიოს ქალებისა და გოგოების განსაკუთრებული საჭიროებები შესაბამისი ჰუმანიტარული შეღავათების გათვალისწინების მიზნით;

15. *გამოხატავს მზადყოფნას*, უზრუნველყოს უშიშროების საბჭოს მისიებში გენდერული პერსპექტივისა და ქალთა უფლებების გათვალისწინება, მათ შორის ადგილობრივ და საერთაშორისო ქალთა ჯგუფებთან კონსულტაციების გზით;

16. *იწვევს* გენერალურ მდივანს ჩაატაროს კვლევა შეიარაღებული კონფლიქტის იმ ზეგავლენაზე, რასაც ის ქალებსა და გოგოებზე ახდენს, ქალთა როლზე მშვიდობის მშენებლობაში, სამშვიდობო პროცესებისა და კონფლიქტების მოწესრიგების გენდერულ განზომილებებზე და, ასევე, იწვევს მას წარუდგინოს

უშიშროების საბჭოს მოხსენება აღნიშნული კვლევის შედეგების შესახებ და ხელმისაწვდომი გახადოს ის გაეროს წევრი ყველა სახელმწიფოსათვის;

17. მოუწოდებს გენერალურ მდივანს, სათანადო შემთხვევებში, უშიშროების საბჭოს წინაშე წარდგენილ მოხსენებებში ჩართოს ინფორმაცია სამშვიდობო მისიებში გენდერული პერსპექტივის ინტეგრაციის პროცესის მიმდინარეობისა და ქალებისა და გოგონების საკითხებთან დაკავშირებული სხვა ასპექტების შესახებ;

18. იღებს გადაწყვეტილებას, გააგრძელოს მოცემულ საკითხზე აქტიური მუშაობა.